საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი

„ონლაინ“ (დისტანციური) მედიაციისა და ფასილიტაციის პროტოკოლი

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი

„ონლაინ“ (დისტანციური) მედიაციისა და ფასილიტაციის პროტოკოლი

წინამდებარე პროტოკოლი განსაზღვრავს GIAC-ის წესებით მიმდინარე მედიაციისა და ფასილიტაციის პროცესში მოქმედ დამატებით წესებს და ამ პროცესების მონაწილეების მოვალეობებს, როდესაც მედიაცია ან ფასილიტაცია წარიმართება არა ფიზიკური დასწრების გზით არამედ დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით. ნებისმიერ შემთხვევაში მედიაციის ან ფასილიტაციის პროცესი მიმდინარეობს GIAC-ის, ან მხარეთა მიერ შეთანხმებული მედიაციისა ან ფასილიტაციის წესების შესაბამისად. წინამდებარე პროტოკოლი ავსებს ამ წესებს და ხდება მათი ნაწილი GIAC-ის მედიაციის წესების 4.2 და ფასილიტაციის წესების 4.2 მუხლების თანახმად.

1.

„ონლაინ“ (დისტანციური) მედიაციის ან ფასილიტაციის წარმართვა ხდება GIAC-ის მიერ უზრუნველყოფილი ონლაინ კომუნიკაციის ტექნოლოგიური პლატფორმის გამოყენებით. პლატფორმაზე ოფიციალურ წვდომას უზრუნველყოფს GIAC-ი.

2.

GIAC-ის სამდივნო წინასწარ, სულ მცირე ერთი დღით ადრე ამცნობს პროცესში მონაწილე ყველა პირს პლატფორმაზე წვდომის დეტალებს და შესაბამის ინსტრუქციებს. მხარეებისთვის აღნიშნულის შეტყობინება მოხდება იმ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მხარეებმა მიუთითეს განაცხადში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე მხარე შემდგომ შეატყობინებს GIAC-ის სამდივნოს სხვა მისამართს.

3.

„ონლაინ“ (დისტანციური) მედიაციის ან ფასილიტაციის მონაწილე ყველა პირი, შეთანხმებული სესიების დროს, ვალდებულია უზრუნველყოს კარგი სისწრაფის ინტერნეტ კავშირის ქონა. ამასთან, პროცესის მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ტექნოლოგიის გამოყენება (ტელეფონი, კომპიუტერი) რომელიც იძლევა ვიდეო გამოსახულების ჩვენების საშუალებას.

4.

ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის ან სხვა ტექნიკური საჭიროებების მოგვარების მიზნით, მედიაციის ან ფასილიტაციის პროცესში შეიძლება ჩაერთოს ტექნიკური ადმინისტრატორი. ტექნიკური ადმინისტრატორის ვინაობა წინასწარ უნდა იყოს პროცესის ყველა მონაწილისთვის ცნობილი. ამასთან, ტექნიკური ადმინისტრატორი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს და დაეთანხმოს კონფიდენციალობის წესებს შესაბამისი კონფიდენციალობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით.

5.

მედიატორი ან ფასილიტატორი, პროცესის დასაწყისში ათანხმებს მხარეებთან ონლაინ (დისტანციური) მედიაციის თავისებურებიდან გამომდინარე საჭირო დამატებით წესებსა და ტექნიკურ დეტალებს, მათ შორის თუ როგორ მოხდება, საჭიროების შემთხვევაში, მხარეებთან კერძო შეხვედრის გამართვა, როგორ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას პროცესის დაცულობა და კონფიდენციალობა, რა მოხდება კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში, ა.შ.

6.

მედიაციაში ან ფასილიტაციაში მონაწილე მხარეები, მათი წარმომადგენლები და ნებისმიერი მესამე პირი პასუხისმგებელნი არიან სესიების მიმდინარეობისას ისეთ გარემოში იყვნენ, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ პროცესის კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვას და პროცესში შეუფერხებლად მონაწილეობას.

7.

დაუშვებელია მედიაციის ან ფასილიტაციის პროცესის რაიმე ფორმით (აუდიო ან ვიდეო თუ სხვა) ჩაწერის განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩაწერის განხორციელებაზე წინასწარ მოპოვებულია პროცესის ყველა მონაწილის წერილობითი ფორმით გამოხატული თანხმობა.

8.

GIAC-ი, მედიატორები, ფასილიტატორები და ტექნიკური ადმინისტრატორი არ არიან პასუხისმგებელნი თავად ტექნოლოგიური პლატფორმის ფუნქციონირებასა და დაცულობაზე (ჰაკერული წვდომისა თუ სხვაგვარი გაჟონვისგან) და პლატფორმის ფუნქციონირებიდან გამოწვეულ ზიანზე. შესაბამის სესიაში მონაწილეობით მხარე ადასტურებს რომ თავად გაეცნო ტექნოლოგიური პლატფორმის შესახებ ინფორმაციას, ამ პლატფორმის მოქმედების წესებსა და პირობებს, თავისებურებებს და იღებს პასუხისმგებლობას და თანახმაა გამოიყენოს ეს პლატფორმა შესაბამისი რისკების გათვალისწინებით.

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი

ნ. შატაიძის ქ. (ყოფილი ბერძნის ქ.) 29
თბილისი, 0114, საქართველო

ტელ: (+995 32) 2 69 88 00
ელ. ფოსტა: info@giac.ge
www.giac.ge

© ყველა უფლება დაცულია საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ

ამ წესების ოფიციალური ტექსტი შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე

თბილისი, საქართველო
2020